კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი პარასკევი 22 თებერვალი № 44 (17687) ფასი 2 კაპ.

ხარისხი ყველას საგრუნავია!

ეფექტიანი მუშაობა ხალხის კეთილდღეობის საფუძველია

ამომრჩეველთა შეხვედრა ა. ნ. კოსიგინთან

ᲓᲦᲔᲡ, როდესაც საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ მეშვიდე გამარჯვებით მთელი საქართველო ხარობს, ყველა მშრომელთან ერთად მადლობასა და ქებას იმსახურებენ ჩვენი მეცხოველეებიც, რომლებმაც ცოტა როდი გააკეთეს იმისათვის, რომ რესპუბლიკა საქვეყნოდ გამოჩენილიყო.

დღეს გულდაჯერებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპუბლიკაში ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება წინა წლებზე უფრო მყარი და დინამიკურია. ჩვენმა ფერმის მუშაკებმა ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წელიც კარგად დაიწყეს. იანვარ-თებერვალში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.000 ტონით მეტი ხორცი, 140 ტონით მეტი რძე და 5,8 მილიონი ცალით მეტი კვერცხი დამზადდა.

ეს წარმატება რომ შევინარჩუნოთ და გადაჭარბებით შევასრულოთ ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალებები, მთელი ჩვენი მეცხოველეობის თავდადებაა უნდა გაჩდეს სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი. გაჩადება, მისი ორიენტაცია ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, შემხვედრი გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა.

სახალხო მეურნეობის განვითარების ახლანდელი ეტაპის ეს ობიექტური მოთხოვნილებები ყოველ ხელმძღვანელსა და სპეციალისტს, ყოველ შრომითს კოლექტივს ჯვალებს იღებენ იმისათვის, რომ მოიპოვონ კარგი შედეგები არა მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლების, არამედ პროდუქციის ხარისხის და წარმოების ეფექტიანობის თვალსაზრისითაც.

სოფლის მეურნეობაში კი ხარისხისათვის ბრძოლის სასურველი შედეგი მარტო ის როდია, რომ მაღაზიებს, სახელმეურნეოებს, მშრომელთა სუფრას საუკეთესო პროდუქტები მივაწოდოთ. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება წარმოების მოცულობის ზრდის, დარგის რენტაბელობის ამაღლების ერთ-ერთი დიდი რეზერვიც არის. მაგალითად, შარშან წინა წელთან შედარებით რესპუბლიკაში პირველი ხარისხის რძის ხვედრითი წონა 64 პროცენტიდან 67,2 პროცენტამდე გაიზარდა, რის გამოც მეურნეობებმა 100 ათასი მანეთი დამატებითი შემოსავალი მიიღეს. ნასუქი მოზვერებისა და დეკემბრების ჩაბარების შედეგად მიღებულმა დამატებითმა თანხამ კი 5 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

ხარისხის გაუმჯობესების, მეტი უკეთესით შემოსავლის ჩინებულ მაგალითებს ვვიჩენენენ თიანელი მეცხოველეები. მათ შარშან მაღალი ხარისხის რძის ჩაბარებისათვის გეგმის შესრულებაში დამატებით ჩაეთვალათ 370 ცენტნერი რძე და დამატებით დაერიცხათ 58 ათასი მანეთი.

თიანელები წლეულს კიდევ უფრო წინ წავიდნენ — შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ორათონში 100 ტონით მეტი ხორცი და 5 ტონით მეტი რძე დამზადდა, საიდანაც 80,7 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

რძის ხარისხის ამაღლების პრობლემა მთლიანად გადაჭრეს ერწოს საბჭოთა მეურნეობაში. ამას აქ იმის წყალობით მიაღწიეს, რომ თითოეული მეცხოველისაგან მკაცრად მოითხოვენ შრომის დისციპლინის და ბიგიენის დაცვას, თან საამისო პირობებსაც უქმნიან. ფერმაში სანიმუშო სანიტარიული წესრიგია, მეცხოველეები უზრუნველყოფილი არიან სადეზინფექციო საშუალებებით, ცხელი წყლით, მაცივრით, რძის ბოჭვრელით და სხვ. რძის ხარისხს ყოველდღიურად აკონტროლებს ფერმის ლაბორატორია. ყოველივე ამის შედეგია, რომ მეურნეობა ქარხანას მხოლოდ პირველი ხარისხის რძეს აბარებს, რისთვისაც თითოეულ ტონაზე ეფარება 21 მანეთს იღებს. ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად გაიზარდა რაოდენობრივი მაჩვენებელიც — მეურნეობამ სახელმწიფოს შარშანდელზე 160 ცენტნერით მეტი რძე მიჰყიდა.

ხარისხისათვის ბრძოლაში თიანელთა წარმატების საფუძველია ის, რომ დღითი დღე სრულყოფენ შრომის ორგანიზაციას, ფერმაში ნერგავენ მოწინავე ტექნოლოგიას და წარმოების თანამედროვე ეფექტიანობის ასამაღლებლად და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად კარგად არის გამოყენებული მატერიალური სტიმულირების სხვადასხვა ღონისძიება. პირველი ხარისხის რძის წარმოებისათვის პრემია ეძლევათ არა მარტო მწველებს, არამედ მწყემსებს, რძის მზიდავ მძღოლებს, ყველას, ვინც ხელს უწყობს მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებას.

„ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ნიშნავს, რომ ყოველი საბჭოთა ადამიანი, ყოველი შრომითი კოლექტივი უნდა იღვწოდეს უმაღლესი შრომის ნაყოფიერებისათვის, მკაცრად იცავდეს საწარმოო დისციპლინასა და მომჭირნეობის რეჟიმს, დღითი დღე აუმჯობესებდეს თავისი მუშაობის ხარისხს, პროდუქციის ხარისხს“.

ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ეს სიტყვები გამოხატავს ამ კრიტერიუმის არსს, რომლის მიხედვითაც პარტია დღეს თითოეული მუშაკის, თითოეული კოლექტივის მუშაობას აფასებს. ამ კრიტერიუმს კარგად იყენებენ მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს მარნეულის რაიონში, სადაც გამარჯვებულად ითვლება მხოლოდ ის კოლექტივი, რომელიც გარკვეული რაოდენობრივ მაჩვენებელთან ერთად ყველაზე მეტ პირველი ხარისხის რძესა და კარგად გასუქებულ პირუტყვს ჩაბარებს სახელმწიფოს. აქ ამ პირობის დღეს ბევრი მეურნეობა ასრულებს და საქმეც წინ მიდის. წლეულს შარშანდელთან შედარებით გაცილებით მეტი რძე და ხორცი მიეყიდა სახელმწიფოს; 24 პროცენტით გაუმჯობესდა რძის ხარისხი, ხოლო სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა 31 კილოგრამით გაიზარდა და 321 კილოგრამს მიაღწია. ეს მაჩვენებელი რესპუბლიკურ დონეს 60 კილოგრამით სჭარბობს.

ამ მხრივ დაწინაურდნენ ზუგდიდის, დმანისის, ცხაკაიასა და მახარაძის რაიონები. თუმცა პირუტყვის სადღეღამისო წონამატებაში ბევრმა შარშანდელი პოზიციებიც კი დამამო. მაგალითად, გორის, ჭარელის, ახმეტისა და დუშეთის რაიონების მეცხოველეები. წლეულს პირუტყვის ინტენსიურ ხუქებაში არა მარტო შარშანდელ დონეს, არამედ რესპუბლიკურ მაჩვენებელსაც ჩამორჩნენ. შეშფოთებას იწვევს ის, რომ ზოგან შარშანდელთან შედარებით კიდევ უფრო შეანელეს ყურადღება ხარისხის მართვისადმი. მაგალითად, ცხინვალის რაიონის არცევის სტბეოთა მეურნეობის ფერმაში, რომელმაც შარშან უხარისხო რძის ჩაბარების გამო 5 ათასი მანეთი იზარალა, წლეულს ელემენტარული სანიტარიული წესრიგი არ არის. ამ მიზეზით მეურნეობას მარტო ივნისში 270 მანეთი დაეკლდა.

ასეთი უყაირათო მუშაობის მაგალითებს სხვა რაიონებშიც ვხვდებით, ხელვაჩაურის რაიონის ტელმანის სახელობის და კირანთის კოლმეურნეობებს გეგმის შესრულებაში არ ჩაეთვალათ ასობით კილოგრამი რძე იმის გამო, რომ პროდუქცია სტანდარტის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ წლეულს აქაური მეცხოველეები რძის მიღებაში მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ შარშანდელ დონეს.

ასეთ ფაქტებს, როცა ხარისხის გაუარესება იწვევს რაოდენობრივი, მოცულობითი მაჩვენებლების შემცირებას, პრინციპული შეფასება უნდა მისცეს ადგილობრივმა პარტიულმა, სამეურნეო-სამეურნეო ორგანოებმა, რათა გაიზარდოს მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების პასუხისმგებლობა მეურნეობრეობის მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის. მათ ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ყველა საწარმოში, ფერმაში დაინერგოს ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა.

ამოცანა ის არის, რომ რიტმული მუშაობით, საკვების უყარაბოთაში ხარჯვით, პირუტყვის მოვლა-პატრონობაში მოწინავე გამოცდილების უსწრაფესი დანერგვით, ტექნოლოგიური დისციპლინის განუხრელი დაცვით, ურთიერთმომთხოვნელობისა და შრომაში ამხანაგური დახმარების ვითარების შექმნით გადამეტებით შეკანარულთან ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა-ვალდებულებები და მკვეთრად ავამაღლოთ მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხი.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, რაც კი ჩვენს დიად სამშობლოს მოუპოვებია, განუყრელად არის დაკავშირებული ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის კომუნისტური პარტიის გმირულ ბრძოლასთან. ეს აღინიშნა 21 თებერვალს მოსკოვის სსრ კავშირის დიდ თეატრში შეხვედრაზე, რომელიც დედაქალაქის ფრუნზეს საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებმა მოიწვიეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინს.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, ნ. ა. ტიხონოვი, მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის საბჭოს პალატების წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, წარმოების მოწინავენი.

კრება გახსნა სკკპ ფრუნზეს რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ა. გრიაზნოვმა. მან ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლანდელი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს პარტიის წინაშეწარდასახული ლენინური ორიენტაციებისათვის მტკიცე ბრძოლის ნიშნით.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნებად აირჩიეს საარჩევნო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღიჭურვილმა პირმა — საკონდიტრო ფაბრიკა „ბოლშევიკის“ ოსტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. ა. ოჟინამ ილაპარაკა ა. ნ. კოსიგინის ცხოვრების გზაზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

დედაქალაქის მუშათა კლასი, ყველა მშრომელი მთლიანად და საკუთრივ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ საქმეთა, ამ საერთაშორისო ფონდები, რომლებიც ქვეყანას ჰქონდა სამოკავშირო წლების დამლევს, ხოლო მოსახლეობის მიმდინარე მოხმარებისათვის, საცხოვრებელი სახლების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურისა და არასაწარმოო სფეროს სხვა დარგების ობიექტების მშენებლობისათვის დაიხარჯება 1.600 მილიარდ მანეთზე მეტი — საგეგმოზე მეტს გამოვიყენეთ აბრეშუმის პარკს და 550 ათას ცალ ვაზის ხარისხიან ნერგს.

ამ ეტაპზე რაოდენობასთან ერთად გვინდა მნიშვნელოვნად გავზარდოთ სარეალიზაციო პროდუქციის ხარისხი. დიდ ყურადღებას დავუთმობთ მოსავლის ზრდას საკარმიდამო ნაკვეთებში.

— რომელ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებს ააშენებთ წლეულს?

— მცირე მელიორაციის მოწყობის, მიზნით წლეულს გაკეთდება 17 არტეზიული ჭა, 5 საგუბარი, დასაწვიმებელი აგრეგატებით მოირწყვება 2.000 ჰექტარი, ტყის აღდგენის სამუშაოები განხორციელდება 770 ჰექტარზე.

წლეულს მეტ ყურადღებას დაუთმობთ მშენებლობას, რეკონსტრუქციას. ავაშენებთ თამბაქოს საშრობს, დამთავრდება 400 სულისათვის გათვალისწინებული მექანიზებული ბოსელის მშენებლობა სოფელ ცოდნისკარში. სრული სიმძლავრითი ამოქმედდება სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობის თამბაქოს ფოთლის მექანიზებული საშრობი.

— როგორ გესახებათ ხუთწლედის ფინიში?

— როგორც ხედავთ, დიდი საქმეები მოგველის. ჩვენ მოცულად ვილაპარაკეთ წლევანდელ სოციალისტურ ვალდებულებებზე. მაგრამ არ გვითქვამს, რომ გათვალისწინებული გვაქვს ყოველ დარგში აღმოცფხვრათ თუ რამ ნაკლი გვაქვს.

ამ. ა. ნ. კოსიგინმა შეკრებილთა ტაშის გრიალში დედაქალაქის ფრუნზეს რაიონის ყველა მშრომელს — მუშებსა და მოსამსახურეებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, მეცნიერებისა და სახალხო განათლების, ხელოვნების და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს გადასცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მხურვალე სალამი და უსურვა შემდგომი წარმატებანი შრომასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, ეკთილდღეობა.

როცა ჩვენს წარმატებებს აღვნიშნავთ, თქვა შემდეგ დეპუტატობის კანდიდატმა, გულმოდგინედ უნდა ვიმუშაოთ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ საკითხებზე. პარტია გვასწავლის „რეტროსპექტიულად ვფასებდეთ გაკეთებულს, ვიანალიზებთ გამოუყენებელ შესაძლებლობებს. სწორედ ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ისინი სცილდება მომდინარე სამეურნეო საკითხების ფარგლებს. ეს, არსებითად მომავლების პროგრამაა, რომელიც ხანგრძლივი პერსპექტივისთვის არის გათვალისწინებული.

ა. ნ. კოსიგინი დაწვრილებით შეეხო ეკონომიკის განვითარების საკვანძო პრობლემებს, რომელთაგან მთავარია წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალური რესურსების, ნედლეულისა და სათბობის გამოყენების გაუმჯობესებას, რაოდენ საჭიროა მტკიცე და გადამწყვეტი ბრძოლა ელექტროენერგიის მფლანგველური გამოყენების წინააღმდეგ.

ამჟამად, თქვა მან, მუშავდება მეთერთმეტე ხუთწლედში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი, აგრეთვე სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგების განვითარების გრძელვადიანი პროგრამა. ამ დოკუმენტებმა უნდა განსაზღვროს მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხები, მიღწევები ნედლეულის, სათბობისა და ენერგიის წარმოებისა და რაციონალური გამოყენების ყველა დარგში, უზრუნველყოს მთელი ენერგეტიკული პრობლემების მთელი კომპლექსის გადაწყვეტა.

ორატორმა დაწვრილებით დაახასიათა სოფლის მეურნეობის დარგის, აგრეთვე მანქანათმშენებლობისა და სხვა დარგების ამოცანები.

ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში პარტიის მიერ დასახული ყველა ღონისძიების მიზანია ჩვენი მთავარი ამოცანის — ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭირო მტკიცე მატერიალური ბაზის შექმნა. პარტია სახავს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ფართო ბლანის ამოცანას. საქმე ეხება იმის, რომ „გაუმჯობესდეს საბჭოთა ადამიანების ყველა თაობის კეთილდღეობა, გაუმჯობესდეს ხალხის ცხოვრების ყველა მხარე — შრომისა და დასვენების, განათლებისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

დეპუტატობის კანდიდატი შეეხო ისეთ დიდ სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას, როგორიც არის მართვის სრულყოფა, დაგეგმვისა და გეგმების მეცნიერული დასაბუთებისადმი გაზრდილ მოთხოვნების და თქვა, რომ ამჟამად მუშავდება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესების წინადადებები.

დღის წესრიგშია საუწყებო დაქვემდებარეობის აღმოფხვრის, დარგობრივი და ტერიტორიული მართვის უკეთ შეხამების, მეზობლობრივი კომპლექსური პრობგრამებისა და ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების განვითარების ეფექტიანი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ყველა სახეობის ტრანსპორტის ზუსტი ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა, მისი განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება. ახალი კონსტრუქციის შესაბამისად უნდა გადაიჭრას ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, ისევე როგორც, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებშიც, სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის, აგრეთვე შრომითი ეკონომიკურების როლის ამაღლებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ყველაფერს იღონებენ, რათა ყველა ეს საკითხი დროულად და ეფექტიანად გადაწყდეს.

ჩვენი ხალხი ხედავს თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის რეალურ შედეგებს ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში. ეს არა მარტო საფუძველი, არამედ დიდი სტიმულიც არის ჩვენი შემდგომი წინსვლისათვის. დღეს ჩვენი განვითარების მოთხოვნილებანი, უწინარეს ყოვლისა, უკავშირდება წარმოების ინტენსიფიკაციას, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ქვეყნის ძლიერების განმტკიცებას.

სამეურნეო მშენებლობის დროს ჩვენი ქვეყანა წლითიწლობით სულ უფრო მეჰიდროდ ეერთვნებს თავის მეცადინეობას სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან. ამჟამად სოციალისტური ქვეყნები ეფექტიურად ამუშავებენ თანამშრომლობის პროგრამებს ახალი ხუთწლედისათვის.

საბჭოთა კავშირი, რომელიც იცავს თავისი საგარეო პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს, პარტიის XXIV და XXV კონგრესებზე წამოყენებულ მშვიდობის პროგრამას, თანამიმდევრულად განაგრძობს მშვიდობიმოყვარულ კურსს, ხაზგასმით აღნიშნა ა. ნ. კოსიგინმა, როცა საერთაშორისო ვითარების შეეხო. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მთელ რიგ გამოსვლებში წამოყენებულია ახალი მნიშვნელოვანი ინიციატივები და წინადადებები, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და სამხედრო დაძაბულობის შენელების უზრუნველყოფა.

საერთაშორისო ვითარების ასლანდილი გამწვავების ნამდვილი მიზეზია იმპერიალისტური ძალების ომის მოტრფიალე პოლიტიკა, ის, რომ მათ ჯიუტად არ სურთ ცნონ ახალი რეალური მსოფლიოში, მათი ცდები შეაჩერონ მსოფლიო განმათავისუფლებელი პროცესი.

ჩვენ ყველაფერ განვახორციელებთ მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის პოლიტიკას, განაცხადა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა. ჩვენ შევინარჩუნებთ სიფხიზლესა და მზად ვიქნებით მოვიგერიოთ აგრესიული ხრიკები, ვისი მხრიდანაც უნდა იყოს ისინი.

დასასრულ ა. ნ. კოსიგინმა თქვა:

ჩვენი საბჭოთა, სოციალისტური ცხოვრების წესის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მხარეა პარტიისა და ხალხის ერთიანობა. როგორც საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, კომუნისტური პარტია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ცოცხალ გამოცდილებაზე დაყრდნობით აშენებს თავის პოლიტიკას, ამუშავებს ქვეყნის განვითარების გეგმებს, ხელმძღვანელობს კომუნისტურ მშენებლობას. ცხოვრებასთან პარტიის პოლიტიკის მჭიდრო კავშირი მისი სისწორის, და ამიტომაც ხალხის მტკიცე მხარდაჭერისა და მოწონების საიმედო გარანტიაა. (საკრეფსი).

საქართველოს უძველესი საწარმო — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა მეორე ახალგაზრდობას განიცდის. მიმდინარეობს მისი საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, რომელიც ახალი საწარმოს მშენებლობას უტოლდება. მთელი ეს სამუშაოები წელს დამთავრდება და აქ რკინიგზის ელექტრომატარებლებთან ერთად შეაკეთებენ მეტროპოლიტენის ვაგონებსა და ძრავვაგონიან სექციებს.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ქარხნის წარმოების მოცულობა ორ მილიონ მანეთამდე გაიზრდება.

ამჟამად ქარხანაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთვის ღირსეულად შეხვედრისთვის.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲗ: თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ელექტროსამაჭანო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადა (მარცხნიდან მარჯვნივ) — დავით ადეიშვილი, ბრიგადირი ომარ სიტაკაშვილი და მერაბ სულფუშვილი.

Გ. ᲜᲐᲮᲣᲪᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მაღალეფექტიანი ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფის, ჰაერისა და წყლის რესურსების კომპლექსური შესწავლის, გარემოს გაჭუჭყიანების კონტროლის განხორციელების საქმეში მოწეული წარმატებებისათვის და დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველო დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Შ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ᲚᲐᲨᲕᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
1980 წლის 20 თებერვალი.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ვ. ᲯᲐᲭᲠᲐᲯᲘ

მოწინავეთა მხარდამხარ

— როგორ დაიწყო ლაგოდეხში ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წელი?

— ლაგოდეხის რაიონის მშრომელები დიდი იმედითა და ხალისიანად შეეგებნენ 1980 წლის გეგმების შესრულებას. ჩვენ გვინდა სასახელო საქმეებით ვუპასუხოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას საბჭოთა საქართველოს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის და ყველა მშრომელისადმი. პარტიის მოწოდების პასუხად ლაგოდეხელებმა ვიკისრეთ სოციალისტური ვალდებულებები.

— რას გვპირდებიან სოფლის მეურნეობის მუშაკები?

— ასრულებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და 1979 წლის ნოემბრის პლენუმების დადგენილებებს, სოფლის მეურნეობის მუშაკები მთლიანი პროდუქციის გამოშვებას 6 პროცენტით გაზრდიან და შექმნიან 40 მილიონი მანეთის დოვლათს, 10 პროცენტით გაადიდებენ შრომის ნაყოფიერებას.

მოგეხსენებათ, ჩვენი რაიონისთვის წამყვანი დარგია მეთამბაქოეობა. შარშან 5 ათას ტონამდე მოვიყვანეთ, წლეულს გეგმით უცვე 7.800 ტონა უნდა ვაწარმოოთ, მაგრამ ლაგოდეხელ მეთამბაქოეთა სურვილია, რომ 8 ათას ტონამდე ავიდნენ.

შარშან ჯერ სტაყვამ და მერე გვალვამ ძალიან დააზიანა ეთერზეთოვანი კულტურები და 3.400 ტონაღა ვაწარმოეთ. წლეანდელი გეგმა 5 ათას ტონას ითვალისწინებს, მაგრამ ჩვენი ვალდებულებაა ამ ვირფუასა პროდუქციის წარმოება 8 ათას ტონამდე გავადიდოთ.

უფრო კარგად მოვუვლოთ და ვუპატრონებთ პიტუტყესა და ფრინველს. ამით კი გავზრდით მეცხოველეობის პროდუქტიულობას. ფურის წველადობა 2 ცენტნერით მოიმატებს და თითოეულზე 1.955 ლიტრამდე რძეს მივიღებთ.

სახელმწიფოსათვის მისაყიდი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის საშუალო წონას გავზრდით, საზოგადოებრივ მეურნეობებში საგეგმო 10,6 ათასი სულის ნაცვლად ვიყოლიებთ 11 ათას სულ საქონელს. ასევე საგეგმოზე მეტი — 7.600 სულის ნაცვლად 8.000 სული ღორი და 55 ათასის ნაცვლად 60 ათასი ფრთა ქათამი გვეყოლება.

ცხადია, პიტუტყვის საკვებიც შარშანდელზე მეტი დაგვჭირდება. ვფიქრობთ, რომ ერთ პირობით სულზე ერთი საკვები ერთეულით გავზრდით საკვების დამზადებას. ამიტომ საგეგმოზე მეტს დავამზადებთ სენაჟს და თივას, ნამჯას და სილოსს.

ჩვენ უფრო დიდი მიზნებიც გვაქვს. გვინდა მკვეთრად ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჰექტარობრივი მოსავლიანობა. ჩვენი საუბარი იმგვარია, რომ უმჯობესია ისევ ციფრების ენით ვილაპარაკოთ.

ვფიქრობთ, რომ 26,3 ცენტნერის ნაცვლად ერთ ჰექტარზე საშუალოდ მოვიყვანოთ 27 ცენტნერი მარცვლეული. 82 ცენტნერის ნაცვლად 84 ცენტნერ ყურძენს მივიღებთ. ასევე გავზრდით ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ეთერზეთოვანი კულტურებისა და თამბაქოს ჰექტარობრივ მოსავლიანობას. სახელმწიფოს მივყიდით 7.600 ტონა მარცვლეულს, 9.300 ტონა ბოსტნეულს, 12.800 ტონა ყურძენს, 17.000 ტონა ბაღჩეულს, 1.680 ტონა ხორცს, 4.815 ტონა რძეს, 4.100 ათას ცალ კვერცხს. ასევე საგეგმოზე მეტს გამოვიყენთ აბრეშუმის პარკს, 550 ათას ცალ ნერგს.

— რომელ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებს ააშენებთ წლეულს?

— მცირე მელიორაციის მოწყობის, მიზნით წლეულს გაკეთდება 17 არტეზიული ჭა, 5 საგუბარი, დასაწვიმებელი აგრეგატებით მოირწყვება 2.000 ჰექტარი, ტყის აღდგენის სამუშაოები განხორციელდება 770 ჰექტარზე.

წლეულს მეტ ყურადღებას დაუთმობთ მშენებლობას, რეკონსტრუქციას. ავაშენებთ თამბაქოს საშრობს, დამთავრდება 400 სულისათვის გათვალისწინებული მექანიზებული ბოსელის მშენებლობა სოფელ ცოდნისკარში. სრული სიმძლავრითი ამოქმედდება სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობის თამბაქოს ფოთლის მექანიზებული საშრობი.

— როგორ გესახებათ ხუთწლედის ფინიში?

— როგორც ხედავთ, დიდი საქმეები მოგველის. ჩვენ მოცულად ვილაპარაკეთ წლევანდელ სოციალისტურ ვალდებულებებზე. მაგრამ არ გვითქვამს, რომ გათვალისწინებული გვაქვს ყოველ დარგში აღმოფხვრათ თუ რამ ნაკლი გვაქვს.

ᲐᲛᲑ. Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲐᲠᲩᲔᲣᲚ ᲙᲐᲠᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲗᲐᲜ

მასშტაბური მიჯნები

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიღწევებში შარშან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს წალენჯიხელი მშრომელებმა. მოპოვებული წარმატებები საფუძვლად დაედო იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც რაიონის მშრომელებმა წლეულს დაისახეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

რაიონში დღითი დღე მატულობს იმათი რიცხვი, ვინც აქტიურად მონაწილეობს ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენი მიზანია კიდევ უფრო მეტი გასაქანი მივცეთ შრომაში ადამიანთა ინიციატივასა და შემოქმედებას, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეეძლებთ რაიონის სახალხო მეურნეობაში დასახული მიჯნების მიღწევას. ეს მიჯნები კი წინა წლებისაზე უფრო მასშტაბური და გაბედულია.

ჩვენ ადადგწყვიტეთ, მრეწველობის პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმა შეასრულოთ 1980 წლის 1 ოქტომბრისათვის, ხოლო წლეანდელი გეგმა-ვალდებულება — 15 დეკემბრისათვის.

სამრეწველო საწარმოები 1980 წელს გამოუშვებენ 45.893 მანეთის პროდუქციას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პროდუქციის ხარისხის მკაცრად ამაღლებას და თვითღირებულ

1980
24
თებერვალი
საბჭოთა
ხელისუფლების
არჩევნების
დღე

თბილისის შემდგომი აყვავებისათვის

ამომრჩეველთა შეხვედრა თ. ნ. მენთეშაშვილთან

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელები სკკპ XV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მიღწეული ახალი წარმატებებით შეხვდნენ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. ფართოვდება თბილისის მრეწველობის და ტრანსპორტის საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი აღნიშნონ დამკვიდრებული შრომით, შექმნან მეთერთმეტე ხუთწლედში კიდევ უფრო ეფექტიანი მუშაობის საიმედო საძირკველი.

დიდი აღმავლობით შრომობენ თბილისელები ამ დღეებში, რითაც ცხადყოფენ, რომ ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა ხელისუფლების და საბჭოთა მთავრობის ბრძნელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, კომუნისტთა და უპარტიოთა ორღვევი ბლოკის საარჩევნო პროგრამას.

ასეთი განწყობილების კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იყო თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს არჩევნების № 74 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა თავიანთ დეპუტატობის კანდიდატთან — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან თ. ნ. მენთეშაშვილთან. ეს შეხვედრა 20 თებერვალს ჯაიმართა საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მეთაურ საწარმოში.

თ. ნ. მენთეშაშვილმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ, გულითადი მადლობა გადაუხადა ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივს დიდი ნდობისათვის და აღნიშნა, რომ იგი მიახლია ერთსულოვნებისა და მშობლიური კომუნისტური პარტიის, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისადმი ნდობის კიდევ ერთ გამოვლინებად, დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის დამსახურების აღიარებად.

ამბ. მენთეშაშვილმა თქვა, რომ უკანასკნელი არჩევნების შემდეგ განვლილი დრო როგორც საერთოდ თბილისში, ისე ლენინის რაიონში, ახალი წარმატებებით აღინიშნა სახალხო მეურნეობის, კულტურის ყველა დარგში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, რასაც მოწმობს ქალაქის ზედიზედ მეოთხედ დაჯილდოება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ეს დიდი წარმატებები მშრომელების — ჩვენს ქალაქში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლის, თავდადებული შრომისა და ენთუზიაზმის შედეგია.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ვადამდე შესრულებისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოლექტივების შემოქმედებითი აქტიურობისა და ენთუზიაზმის მობილიზაციას წარმოების შიდა რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და წარმოების მოკლულობის ზრდისათვის. მოსაწონია ამას წინათ ლენინის რაიონში შობილი შესანიშნავი თაოსნობა დეკეზიით „ავამოქმედოთ ყველა რეზერვი ლენინურ წელს!“ ამ ინიციატივას უკვე ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და ფართოდ ავრცელებენ დედაქალაქის შრომითს კოლექტივებში.

დეპუტატობის კანდიდატმა აღნიშნა ის მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მოხდა ლენინის რაიონში, და შეეხო მისი განვითარების პერსპექტივებს, პრობლემებს, რომლებიც უახლოეს მომავალში უნდა გადაჭრან თბილისის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული რაიონის მშრომელებმა, მათ შორის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა.

დღეს უნდა ვიმუშაოთ გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ! — ასეთია ცხოვრების ერთ-ერთი მოთხოვნა თქვა ამბ. მენთეშაშვილმა.

არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევა, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლება ხუთწლედის მიმდინარე; — დამამთავრებელი წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების განხორციელების აუცილებელი პირობაა. ახლა ამოცანა ის არის, რომ ყველგან და ყველაფერში შეექმნათ მაღალი მომთხოვნელობის, ორგანიზებულობის, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის ვითარება. ყოველივე ამას ხელს უწყობს პოლიტიკური და შრომითი ატმოსფერო, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სუფევს. საბჭოთა ადამიანები გულდაჯერებით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს.

დეპუტატობა ძალზე საპატიო და პასუხსაგები საქმეა, თქვა ამბ. მენთეშაშვილმა. დეპუტატისათვის არა არის რა იმაზე უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ ემსახურებოდეს პარტიას, ხალხს, სამშობლოს. მინდა ერთხელ კიდევ მადლობა მოგახსენოთ დიდი ნდობისათვის და დაჯაჭურებთან, რომ უნარსა და ენერგიას, კოდესაა და გამოცდილებას არ დავიშურებ, რათა საქმეში გავამართლო ეს ნდობა. (საქინფორმი).

უმაღლესი სკოლის ცხოვრება

საბჭოთა უმაღლესი სკოლა წარსულ სკკპ XXV ყრილობამ დასახა დიდი და საპატიო ამოცანები, რომელთა გადაწყვეტის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სისტემა.

როგორც ცნობილია, უკანასკნელი 30 წლის მანძილზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლებამ. საგრძნობლად შეეჯავშებმა, რომლებთაც სარგებლობენ ამ ფორმის სწავლების სტუდენტები, გამოიწვია მშრომელთა დიდი ლტოლვა უმაღლესი განათლების მისაღებად. საქმარისია ითქვას, რომ დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში 2 მილიონზე მეტი სტუდენტი სწავლობს წარმოებას მოუწყვეტლივ. ეს ფაქტი კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ხორციელდება კონსტიტუციით საბჭოთა ადამიანისათვის მინიჭებული განათლების უფლება.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს და დაუსწრებელი სწავლების 11 ფაკულტეტზე, 3 განყოფილებასა და 1 სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში სულ 11 ათასამდე სტუდენტი სწავლობს.

უკანასკნელ წლებში ინსტიტუტის რექტორატმა და პარტიულმა კომიტეტმა გარკვეული ღონისძიებანი განახორციელეს ამ ფორმების სწავლების გასაუმჯობესებლად, უპირველეს ყოვლისა სასწავლო პროცესის მოსაწესრიგებლად, მეთოდიკური მუშაობის გარდასაქმნელად, ფაკულტეტების ხელმძღვანელი კადრების გადასახალისებლად და განსამტკიცებლად. ძირითადად ამის შედეგია, რომ ბოლო 3 სასწავლო წლის მანძილზე სტუდენტთა აბსოლუტური აკადემიური წარმატება საღამოს ფორმის სწავლებაში 8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო დაუსწრებელი ფორმის სწავლებაში 16 პროცენტით. საგრძნობლად გაუმჯობესდა აგრეთვე აკადემიური მოსწრების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

მაგრამ ჩვენი სტატიის მიზანს სრულიადაც არ შეადგენს მოპოვებული წარმატებების ჩამოთვლა-ილუსტრაცია, მით უმეტეს, რომ ისინი ჯერჯერობით საკმაოდ მოკრძალებულია. ჩვენ შევეხებით იმ ნაკლოვანებებსა და დაბრკოლებებს, რომლებიც საგრძნობლად აფერხებს საღამოს და დაუსწრებელი სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საქმეს. ამასთან შეეცდებით ჩამოვაყალიბოთ ზოგიერთი მოსაზრება და წინადადება, რომელთა მიზანი, ჩვენი აზრით, უმაღლესი განათლების ამ მეტად რთული დარგის შემდგომი სრულყოფაა.

უპირველეს ყოვლისა შევეხებით საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სისტემის სტრუქტურასა და ორგანიზაციას.

დღეისათვის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 6 ფაკულტეტი (5 საღამოსი და ერთი დაუსწრებელი სწავლებისა), საღამოს სწავლების ორი განყოფილება და დაუსწრებელი სწავლების ერთი განყოფილება და ერთი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი განლაგებულია ქალაქ თბილისის ფარგლებს გარეთ, რესპუბლიკის ისეთ მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, როგორიც არის რუსთავი, ბათუმი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, გორი, ჭიათურა, ტყიბული, ზუგდიდი, თელავი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქსელის ასეთი დაქსაქსულობა ძლიერ ართულებს ამ ფაკულტეტებსა და განყოფილებებზე სასწავლო პროცესის სწორ ორგანიზაციას, მათი მუშაობისადმი ხელმძღვანელობისა და პრაქტიკული დახმარების საქმეს. იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული ქალაქების ნაწილში არ არსებობს უმაღლესი სასწავლებელი, იძულებული ვართ ლექტორმასწავლებლების უდიდესი უმრავლესობა ობილისიდან ყოველდღიურად მივავლინოთ ამ ფაკულტეტებზე მეცადინეობათა ჩასატარებლად. ცხადია, ეს, ერთი მხრივ, ძალიან ძვირი ჯდება სახელმწიფოს (ყოველდღიურად საშუალოდ 20-30 მასწავლებლის მივლინება), ხოლო, მეორე მხრივ, და, რაც მთავარია, გაუმართლებელია სასწავლო-მეთოდიკური თვალსაზრისით — თბილისიდან ჩასული მასწავლებლები ძირითადად უკან ბრუნდებიან იმავე დღეს და მათ თითქმის არარ რჩებათ დრო სტუდენტებთან სალექციო ცხრილის გარეშე შეხვედრებისათვის, მათთვის კონსულტაციების, დამატებითი მეცადინეობების ან სხვა სახის აუცილებელი სასწავლო-მეთოდიკური ხასიათის მუშაობისათვის. უწინარეს ყოვლისა ამ ფაკულტეტების გამსხვილების შედეგად უნდა შეიქმნას ინსტიტუტის ორი-სამი ფილიალი სათანადო მატერიალური ბაზით, ძირითადად ადგილობრივ მასწავლებელთა კადრებითა და სტუდენტთა სათანადო კონტინგენტით. ამჟამად ორგანიზაციის პროცესშია და ახალი სასწავლო წლიდან გაიხსნება ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმებით.

მეორე წელია, სტუდენტთა კონტინგენტის სიმცირის გამო გაუქმებულია თელავის საღამოს სწავლების ფაკულტეტი, რომელიც გადაკეთდა რუსთავის საღამოს სწავლების ფაკულტეტად. ფაკულტეტის თელავის განყოფილებად.

საქმის ინტერესები მოითხოვს, ამ ორი ფაკულტეტის ბაზაზე ერთ-პუბლიკის ერთ-ერთ ენციკლოპედიურ ცენტრში — რუსთავში ერთ-მოყალიბდეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი. ასევე საჭიროა ვიზრუნოთ ამჟამად არსებული სოხუმის ფაკულტეტისა და ზუგდიდის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის ბაზაზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის შექმნისათვის.

ცნობილია, რომ საღამოს სწავლების ფაკულტეტებზე სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 16 აკადემიურ საათს, ამასთან შაბათი მათ საერთოდ თავისუფალი უნდა ჰქონდეთ. მაგრამ იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანს წინანდელ დისციპლინებს დაემატა რამდენიმე საგანი (ბუნების დაცვა, ეთიკა, ესთეტიკა, ათეიზმი) და მოსალოდნელია ახალი საგნები მომავალშიც დაემატოს, სრულიად არასაკმარისი ხდება კვირაში 16 აკადემიური საათი, მით უფრო, რომ სტუდენტთათვის სავალდებულოა მუშაობაც და სწავლაც.

წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლების სტუდენტები მთელ რიგ სპეციალობებზე თავიდანვე უნდა მუშაობდნენ პროფილის მიხედვით, ხოლო ზოგიერთ სპეციალობაზე — სამი კურსის დასრულის შემდეგ. ამის გამო საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სასწავლო გეგმებში სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა არ არის გათვალისწინებული. სტუდენტებს ზშირად უძნელდებათ ინსტიტუტში არსებული სპეციალობის მიხედვით სამუშაოს გამოძებნა. ეს განსაკუთრებით შეეხება ქიმიური, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, ელექტრონიკის, ჰიდროტექნიკური და ზოგიერთი სხვა დარგის სპეციალობებს. ამავე დროს არსებობს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მითითება, რომლის მიხედვითაც ნება არა გვაქვს გავრცელოთ სტუდენტი ინსტიტუტიდან იმ მოტივით, რომ მისი შრომითი საქმიანობის პროფილი არ შეესაბამება სპეციალობას, რომელზეც სწავლობს.

ამ საკითხში არსებობს ორთოდოქსულინაალმდეგო ტენდენციები და მითითებები, ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ იყოს ერთიანი, გასაგები და ამომწურავი სადირექტივო მითითება სწავლებისა და შრომითი საქმიანობის პროფილის შესახებ. ალბათ აკადემიკოსი ალ. ალექსანდროვის, ასევე ლიტვინოვის სტუდენტებისათვის, წინასწარ ფიქრობდა ამ ფაკულტეტებზე ცხრილთ დაიგეგმოს ლექციათა-მეცადინეობანი, სტუდენტთა საავალდებულო დასწრების გარეშე. ასევე მოიწყოს კონსულტაციები, ჩათვლები და გამოცდები მთელი სემესტრის განმავლობაში. ამავე დროს შორეული რაიონებში მცხოვრები დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ — ივნისსა და ივნისში ეწყობა ლაბორატორიულ-საგამოცდო ერთთვიურები.

ამგვარად, ჩვენს ინსტიტუტში დაუსწრებელი ფორმის სწავლების სტუდენტებთათვის ხორციელდება სწავლების ეგრეთ წოდებული „დასწრებულ-დაუსწრებელი“ სისტემა, რომელიც თვით ცხოვრების მიერ არის ნაკარნახევი. ეს სისტემა, როგორც პროგრესული და სიცოცხლისუნარიანი, მოიწონა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ. მისი ორგანო „უმაღლესი სკოლის მოამბე“ ჯერ კიდევ 1972 წელს აღნიშნავდა: „საქმეა ისეთი ამბავი, რომ უკანასკნელ წლებში სწავლების დაწყებულ-დაუსწრებელი სისტემა გავრცელდა და ცხადყო ეფექტი. სტუდენტთა ინტერესი ... ამის უფრო ლოგიკური ... ...

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲔᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡᲛᲝᲛᲪᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲒᲝᲠᲑᲩᲝᲕᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

ᲛᲔᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲛᲔᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ

ᲛᲔᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲛᲘᲠᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ახალგაზრდა მწერლების საყურადღებოდ!

სამშაბათს, 26 თებერვალს, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) გაიმართება საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული ახალგაზრდა მწერლების გაერთიანების სხდომა.

სხდომაზე განიხილავენ გასულ წელს გამოქვეყნებული ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებებს.

სხდომა დაიწყება საღამოს 6 საათზე.

თბილისის № 41 ტექნიკური სასწავლებლის ფილიალი



აცხადებს მოსწავლეთა მიღებას სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. სასურსათო საქონლის გამყიდველი: ა) ხორცის, თევზის, ღვინის, ხილბოსტნეულის. ბ) საბაკალეო, საკონდიტრო, გასტრონომიული ნაწარმის. **2. ავტოკარის და ელექტროამწის მძღოლი.**

სასწავლებელში მიიღებიან 17-დან 30 წლამდე ასაკის საშუალო განათლების მქონე ჭაბუკები და ქალიშვილები.

სწავლის ვადა 1 წელია.

განცხადება სასწავლებელში მიღების შესახებ უნდა შემოიტანოთ სასწავლებლის დირექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 6 ცალი ფოტოსურათი (3X4), დახასიათება, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

ჭაბუკების პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი უნდა წარმოადგინონ პირადად. ჭაბუკები სწავლის პერიოდში თავისუფლდებიან საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევისაგან.

ტექნიკურ სასწავლებელში სწავლება უფასოა, სტიპენდია 70 მანეთია. მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა საგანში ექნებათ შეფასება „ფრიადი", 25 პროცენტით გაუდიდდებათ სტიპენდიის ოდენობა. მოსწავლეები პრაქტიკის პერიოდში მიიღებენ გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს.

სასწავლებლის კურსდამთავრებულებს (გამოშვების 10 პროცენტის ფარგლებში), რომლებსაც „ფრიადი" და „კარგი" შეფასება ექნებათ ყველა საგანში და წარმატებით ჩაბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მიეცემათ უფლება შევიდნენ უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილების შესაბამის სპეციალობაზე უშუალოდ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

სასწავლებელში სწავლის დრო ითვლება უწყვეტ შრომითს სტაჟად.

განცხადებები მიიღება 29 თებერვლამდე.

მოსწავლეები ჩაირიცხებიან მამოვან კომისიაზე გასაუბრების წესით და ატესტატში ნაჩვენები ნიშნების გათვალისწინებით.

სწავლა დაიწყება 1 მარტს. განცხადებები მიიღება 9-დან 17 საათამდე, გარდა კვირისა.

სასწავლებლის ფილიალის მისამართია: თბილისი, დიღმის მასივი, ხილბოსტნეულის უნივერსალური მაღაზიის მეორე სართული, საკოლმეურნეო ბაზრის გვერდით.

ტელეფონი 51-73-49.

ტრამვაი № 5, ავტობუსები № № 1, 43, 60, 53; „დიდუბის" მეტროდან ავტობუსი 54 და 54-ა, № 7 სამარშრუტო ტაქსი.

ხაშურის № 109 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

სადგურის მორიგე. მიიღებიან საავადმყოფოს სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებული საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე ასაკის მამაკაცები, სწავლის ხანგრძლივობა 1,5 წელი;

მატარებლის შემდგენელი. მიიღებიან საავადმყოფოს სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებული საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე მამაკაცები. სწავლის ხანგრძლივობა 1 წელი.

ელმავლის მემანქანის თანაშემწე. მიიღებიან საავადმყოფოს სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებული საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე მამაკაცები. სწავლის ხანგრძლივობა 1,5 წელი;

კონსტრუქციის მემონტაჟე კალატოზი. მიიღებიან საავადმყოფოს ჭაბუკები საშუალო განათლებით, 30 წლამდე ასაკის. სწავლის ხანგრძლივობა 1 წელი,

რთული ასორტიმენტის ქსოვილის მჭედველები. მიიღებიან საშუალო განათლების მქონე გოგონები. სწავლის ხანგრძლივობა 1 წელი;

სასწავლებელში ჩარიცხულ მოსწავლეებს მიეკუთვნათ 30-37 მანეთი სტიპენდია, ხოლო საავადმყოფოს სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულ ჯარებს 70-80 მანეთი. გარდა ამისა, ყველა მოსწავლის მიეკუთვნება სწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი. სასწავლებლის კურსდამთავრებულები სამუშაოდ გაიგზავნებიან: რკინიგზის სპეციალობების კურსდამთავრებულები — ამიერკავკასიის რკინიგზის ობიექტებზე მათი საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, რომელთა სამუშაო თვიური ხელფასი იქნება:

სადგურის მორიგისა — 130-160 მანეთი; **მატარებლის შემდგენლისა** — 200-250 მანეთი; **ელმავლის მემანქანის თანაშემწისა** — 200-220 მანეთი.

წარმოებიდან ახალგაზრდებს მიეკუთვნათ სამხედრო გადავადება. სასწავლებელში სწავლის დრო ითვლება უწყვეტ მუშაობის სტაჟად.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; დახასიათება სკოლიდან ან უწყებისაგან; სამუშაო ადგილიდან, ავტობიოგრაფია; 4 ცალი ფოტოსურათი (ზომა — 3X4); სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა პასპორტთან ერთად.

სწავლა დაიწყება 1 მარტს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლის დირექციას ყოველდღე.

მისამართი: ხაშური, ბორჯომის ქ. № 4.

ხაშურის № 109 ტექნიკური სასწავლებელი. ტელეფონი 2-27-35.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა



□ 25 თებერვალი

პირველი პროგრამით: 09.00— „ვრემია" (მ.), 09.40 — ზამთრის მეცამეტე ოლიმპიურ თამაშებზე (მ.), 17.00 — მოსწავლეთათვის — „მამულ-დედაო ჩვენია" (ფ.), 17.35 — საგელევიზიო ნარკვევი „ჩემი ქარხნის ერთი კვირა" — ორშაბათი. დღე პირველი (ფ.), 17.55 — მუსიკალური შესვენება. 18.00 — **საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 59-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის გრანსლაცია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან** (ფ.), შესვენების დროს — „მოამბე" (ფ.), 20.50 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — მარიანე „საქართველო — წელი 79". პრემიერა. 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — ფიგურისსმენების საჩვენებელი გამოსვლები. მეცამეტე ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის საზეიმო დახურვა. შესვენების დროს — „დღეს მსოფლიოში" (მ.).

მეორე პროგრამით: 16.20 — საუფლებებისათვის — ფილოსოფია (ფ.), 17.05 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „სათვალეებთან", „თბილისი" (ფ.), 17.55 — მუსიკალური ფილმი, 18.35 — ქართული მხატვრული ფილმი „წუთისოფელი".

□ 26 თებერვალი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — ამიგურიენტათვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შვილისწავლოთ ინგლისური ენა (ფ.), 18.05 — მულტიკინაციური ფილმი, 18.15 — „პასუხი ბეკულმაურებელთა შეკითხვებზე", 18.55 — საგელევიზიო ნარკვევი „ჩემი ქარხნის ერთი კვირა" — სამშაბათი. დღე მეორე (ფ.), 19.15 — „ვირნისაკი" (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „ბოამბე" (ფ.), 20.30 — „აკადემიკოსი სერგო ლურმაშიძე". 21.10 — სპორტული გადაცემა „ტულეშმაკიკვართა კლუბი" (ფ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — საბჭოთა კავშირში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის დოღების გახსნა, მიძღვნილი ჩეხოსლოვაკიის ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლების 35-ე წლისთავისადმი, კონცერტი კრემლის ყრილობათა სასახლიდან.

მეორე პროგრამით: 15.20 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი კვირადღე", 16.20 — საუფლებებისათვის — თეორიული მექანიკა (ფ.), 17.05 — განცხადებები (ფ.), 17.10 — საესტრადო კონცერტი (ფ.), 17.50 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის — ფიზიკა (ფ.), 18.20 — მულტიკინაციური ფილმი, 18.40 — ქართული მხატვრული ფილმი „რაჭა, ჩემი სიყვარული" (ფ.).

□ 27 თებერვალი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — ამიგურიენტათვის — მათემატიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შვილისწავლოთ გერმანული ენა (ფ.), 18.05 — საგელევიზიო ნარკვევი „ჩემი ქარხნის ერთი კვირა" — ოთხშაბათი. დღე მესამე (ფ.), 18.30 — ფიზბუთი საბჭოთა კავშირის თასზე. თბილისის „დინამო" — ხაბაროვსკის ასკ. გრანსლაცია ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. შესვენების დროს — „ინონარკვევი, 20.15 — „ბოამბე" (ფ.). 20.45 — „ხალხური შემოქმედება". 21.00 — „ბოამბე", 21.30 — კონცერტი (ფ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „თორმეტი საუკეთესო ფილმი". მხატვრული ფილმი „ოქროს ციებ-ცხელება".

მეორე პროგრამით: 15.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბორბალი" (ფ.), 15.35 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „დაფნის გვირგვინი", 16.45 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა (ფ.), 17.30 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნისლის ცხენები", 17.40 — მოსწავლეთათვის — სსრკ კავშირის ისტორია (ფ.), 18.25 — „მე ვარ მისანი ხარი წიქარა" — შოთა ნიშნიანიძე (ფ.).

□ 28 თებერვალი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — ამიგურიენტათვის — ფიზიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.). 17.35 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას (ფ.), 18.05 — მულტიფილმი, 18.15 — „ჩვენი საკონსულტაციო დარბაზი", 18.40 — საგელევიზიო ნარკვევი „ჩემი ქარხნის ერთი კვირა" — ხუთშაბათი. დღე მეოთხე (ფ.), 19.00 — **„მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი"** (მ.), 19.30 — ქართული საგელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქადელი", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „ბოამბე" (ფ.), 20.30 — „გლობუსი" (ფ.), 21.20 — „ბალეტის მოყვარულთათვის" (ფ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სპორტული პროგრამა: 1. ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო" — მოსკოვის უნივერსიტეტი, 2. „სპორტული კალეიდოსკოპი" (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.15 — სტუდენტებისათვის — მეტანიზმებისა და მანქანების თეორია (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.). 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 17.45 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა (ფ.), 18.15 — „მუსიკალური ფოსტა" (ფ.), 19.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აზაზე", 19.40 — მულტიპლიკაციური ფილმი.

□ 29 თებერვალი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — ამიგურიენტათვის — ქიმია (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შვილისწავლოთ ფრანგული ენა, 18.05 — მულტიფილმი, 18.15 — მოსწავლეთათვის — „კოცონი", 19.00 — საგელევიზიო ნარკვევი „ჩემი ქარხნის ერთი კვირა" — პარასკევი. დღე მეხუთე (ფ.), 19.20 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.05 — წყალბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე თბილისის „დინამო" — მოსკოვის სსფ ცსკა, 21.00 — „ბოამბე" (ფ.), 21.30 — კონცერტი (ფ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — შეხვედრა ოსკან.ციონის საკონცერტო დარბაზში ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატთან, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტთან გიორგი ტოვსტონოგოვთან (მ.).

მეორე პროგრამით: 16.50 — მასწავლებლის საათი — ხაზვა (ფ.), 17.35 — „ჩვენს დიად სამშობლოში". საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ისკორკა", 18.20—განცხადებები (ფ.), 18.25 — მე-9—მე-10 კლასის მოსწავლეთათვის — ფიზიკა (ფ.), 18.55 — კინონარკვევი, 19.15 — „მუსიკალური კალენდარი".

□ 1 მარტი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — შვილისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!" (მ.), 11.05 — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის — დოკუმენტური ფილმი „სოფელი შუაზე საიანის მთის ძირას", 12.00 — „მუსიკალური შეხვედრები" — „სტუმრად ჩარხანაში" (განმეორებით. ფ.), 13.10 — „ჩვენი სოფელი" — საგელევიზიო პროგრამა, 13.55 — კონცერტი, 14.25 — „ჯანმრთელობა" — საგელევიზიო პროგრამა, 15.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 15.55 — „შეხვედრები ბოგორეულებთან". „ოგონიოკი" (ფ.), 17.10 — მოსწავლეთათვის — „ეზო მშვენიერებისკენ" (ფ.), 17.45 — „ჩვენი ლაქრები" — საკავშირო კოლეგიის პრემიის ლაურეატი დ. ფინგერეიანი. 18.10 — საგელევიზიო ნარკვევი „ერთ ქარხნის ერთი კვირა" — „ხუთშაბათი. დღე მეექვსე" (ფ.). 18.30 — ფიზბურთი საბჭოთა კავშირის თასზე. „ინონარკვევი, 19.00 — „ინონარკვევი, 19.15 — „ინონარკვევი, 19.30 — „ინონარკვევი, 19.45 — „ინონარკვევი, 20.00 — „ინონარკვევი, 20.15 — „ინონარკვევი, 20.30 — „ინონარკვევი, 20.45 — „ინონარკვევი, 21.00 — „ინონარკვევი, 21.15 — „ინონარკვევი, 21.30 — „ინონარკვევი, 21.45 — „ინონარკვევი,